

# ქვეყნის

მუნიციპალიტეტის  
მანვითარების გეგმა



financed by

Austrian  
Development Cooperation

# ღმანისი

მუნიციპალიტეტის  
მანვითარების გეგმა



დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შემუშავდა პროექტის გუნდისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მხარდაჭერით:

1. **მიხეილ პაკაცოშვილი** – JOIN პროექტის კოორდინატორი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
2. **ზვიად დევდარიანი** – აღმასრულებელი დირექტორი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
3. **ნინო ჩიტორელიძე** – JOIN პროექტის ოფიცერი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
4. **დავით ჯიჭელავა** – ექსპერტი
5. **ხათუნა მადურაშვილი** – გენდერული თანასწორობის ექსპერტი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
6. **კახა ბახტაძე** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
7. **ირაკლი ქობალია** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შემუშავებაში:

1. **გიორგი დევნობაშვილი** – ფერმერი
2. **ჟიგული ნინიაშვილი** – ფერმერი
3. **ევა სელიმაშვილი** – ფერმერი
4. **ჯიმშერ ანდიაშვილი** – ასოციაცია „ნისქვილი“
5. **ნოე ადუაშვილი** – ფერმერი
6. **ლია ადუაშვილი** – ფერმერი
7. **ჯონდო ადუაშვილი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლორე“
8. **დავით ფეტვიაშვილი** – ადგილობრივი თვითმმართველობა
9. **მეგი ედიბერიძე** – ადგილობრივი თვითმმართველობა
10. **გიორგი მენტეშაშვილი** – სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა გამოცემულია პროექტის „ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (JOIN) მიერ.

პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მეშვეობით და ხორციელდება CARE ავსტრიის და CARE საერთაშორისო კავკასიის მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში.

# სარჩევნო

<b>შესავალი</b>	<b>4</b>
<b>მეთოდოლოგია</b>	<b>5</b>
<b>პირველი ნაწილი: დმანისის მუნიციპალიტეტის პროფილი</b>	<b>6</b>
გეოგრაფიული მდებარეობა	6
კლიმატი	6
ბუნებრივი საფრთხეები	7
ბუნებრივი რესურსები	7
მინის რესურსი	7
წყლის რესურსი	8
ტყის რესურსი	8
მინერალური რესურსი	8
ადამიანური კაპიტალი	8
გენდერი	9
ინფრასტრუქტურა	10
ადგილობრივი ეკონომიკა	12
მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	14
<b>მეორე ნაწილი: დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და პრიორიტეტები</b>	<b>15</b>
დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა	15
დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები	15
დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები	15
<b>მესამე ნაწილი: დმანისის მუნიციპალიტეტში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი</b>	<b>18</b>
დმანისის მუნიციპალიტეტი	17
ჯიშები და მათი გაუმჯობესება	18
დაავადებები	19
ვეტერინარია/კონსულტაციები	20
ვეტერინარული აფთიაქები	21
დაავადებების დიაგნოსტიკა	21
პირუტყვის კვება	22
რძის დამზადება	24
ყველის დამზადება	24
ყველის შენახვა	25
რძის და ყველის გაყიდვა	25
ფინანსური რესურსები	26
რძის იმპორტის ტენდენცია საქართველოში	26

<b>მეოთხე ნაწილი: საკანონმდებლო ანალიზი რძის და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვისთვის</b>	<b>29</b>
ზოგადი საკითხები	29
სურსათის უსაფრთხოება	30
წარმოება	31
გაყიდვები	31
<b>მეხუთე ნაწილი: ინიციატივები დმანისის მუნიციპალიტეტში</b>	<b>32</b>

# შესავალი

დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის.

დმანისის ეკონომიკის ანალიზისას ჯგუფმა რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით გამოავლინა მუნიციპალიტეტში განვითარებული სექტორები და პრიორიტეტული მიმართულებები. მესაქონლეობის და მემცენარეობის სექტორების ანალიზის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ბაზარზე არსებულ მოთხოვნას და სექტორში დასაქმებულების, მათ შორის ქალების, რაოდენობას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა რძის და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვს. მუშაობის პროცესში ჯგუფმა გააანალიზა:

- რძის და რძის პროდუქტების წარმოებაში, მათ შორის, ჯიშების გაუმჯობესების, დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის, პირუტყვის კვების კუთხით არსებული მდგომარეობა;
- ყველის წარმოების პროცესი და პრობლემები;
- პროდუქციის შენახვის მექანიზმები;
- მწარმოებლების კავშირები საბოლოო ბაზრებთან, მათი სტრუქტურა და გამოწვევები;
- სექტორის დამხმარე სერვისები (ფინანსური რესურსები, მექანიზაცია, ტექნიკური და საბაზრო ინფორმაცია) და მათზე ხელმისაწვდომობა.

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ჯგუფმა გამოავლინა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც გადაჭრის ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილ პრობლემებს და მასში ჩართული ღირებულების მოსახლეობის შემოსავლებს გაზრდის.

გეგმა შემუშავებულია „ადგილობრივი მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის – JOIN“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად – სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში. პროექტი დააფინანსა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობამ (ADC).

ადგილობრივ თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ერთობლივი დაგეგმვით, გაუმჯობესებული თანამშრომლობითა და ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლით JOIN ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში. საქართველოში პროექტი სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის, ხოლო სომხეთში ლორის, ტავუშის და შირაქის რეგიონებში ხორციელდება.

დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შესამუშავებლად შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სამი სექტორის – ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის წარმომადგენლები. მათ უნდა შეესწავლათ არსებული მდგომარეობა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო ინიციატივები სხვადასხვა კუთხით შეეფასებინათ.

სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

- შეიქმნა ჯგუფი, რისთვისაც პროექტის გუნდი დმანისში დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ შეხვდა და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია;
- ჯგუფის შექმნის შემდეგ წევრებს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისთვის საჭირო უნარების ასა-მალლებლად ტრენინგები ჩაუტარდათ, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტში განვითარებული ეკონომიკური სექტორების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად მათ გამოკითხეს ადგი-ლობრივი მოსახლეობა. ჯგუფს მუნიციპალიტეტების ზოგადი პროფილებისთვის ინფორმაციის მოგროვებაში ნაწილობრივ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი და-ეხმარა;
- შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფმა გამოავლინა პრიორიტეტულ ღირებულებათა ჯაჭვი, რომლის ანალიზში, მონაწილეობდა JOIN პროექტის გუნდი, შეიქმნა დამატებითი ფოკუს-ჯგუფები, ჩაინერა ინტერვიუები;
- გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა განხორციელებაც დადებითად იმოქმედებს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე და მასში ღარიბი მოსახლეობის ჩართულობაზე;
- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა გეგმის საბოლოო ვერსია, რომლის პრეზენტაციაც მუნიციპალიტეტში გაიმართა. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსახლეობის დაინტერესება, რაც ინიცი-ატივების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში თემის მონაწილეობას უზრუნველყოფს.

ანალიზის დროს ჯგუფმა გაითვალისწინა გენდერული ასპექტები – ქალების და მამაკაცების როლი ღირებულებათა ჯაჭვში და რა გავლენა შეიძლება მისმა განვითარებამ იქონიოს თითოეულ მათგანზე. ამასთან, ანალიზის დროს ყურადღება გამახვილდა გარემოს დაცვაზე, არსებულ რისკებზე და მათი შემცირების მექანიზმებზე.

პირველი ნაწილი:

## დმანისის მუნიციპალიტეტის პროფილი

### გეოგრაფიული მდებარეობა

დმანისის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციის ქვემო ქართლის მხარის დასავლეთით ზღვის დონიდან 1250 მ-ზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები ესაზღვრება, ჩრდილოეთით – ნალკის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი. სამხრეთ ნაწილში სომხეთის საზღვარი ლორის მარზაზე გადის. დმანისში მდებარეობს სასაზღვრო გამშვები პუნქტი სომხეთთან – გუგუთი, რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 38 კმ-ით არის დაშორებული.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – დმანისი თბილისიდან დაშორებულია 102 კმ-ით, ხოლო რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრიდან, რუსთავიდან – 116 კმ-ით, უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი) – 30 კმ-ით.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 119 880 კმ<sup>2</sup> და ზღვის დონიდან 720-3100 მეტრზეა. დმანისის მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, 2012 წელს 31 795 ადამიანს შეადგენს. მუნიციპალიტეტში 16 ტერიტორიული ერთეული შედის: ქალაქი დმანისი, დიდი დმანისი, ამამლო, ოროზმანი, განთიადი, იფნარი, სარკინეთი, გომარეთი, დმანისი, მამავერა, კარაბულახი, კამარლო, კიზილქილისა, გუგუთი, საკირე და ირგანჩაი. არსებული ტერიტორიული ერთეულები 58 სოფელს აერთიანებს.<sup>1</sup>

### კლიმატი

კლიმატურად დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ზომიერად ცივი ზამთრით, თბილი ზაფხულით და ნალექების ორი მაქსიმუმით.

ზღვის დონიდან 1,250 მ სიმაღლის ფარგლებში (დმანისის მეტეოსადგურის მდებარეობა) საშუალო წლიური ტემპერატურა 7.8°C-ია. ყველაზე ცივი თვის (იანვარის) საშუალო ტემპერატურა – 2.7°C, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი -28°C. ყველაზე ცხელი თვის (ივლისის) საშუალო ტემპერატურა 18.2°C-ია. აბსოლუტური მაქსიმუმი კი 35°C. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (+10°C-ზე მაღალი) 2,47°C. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა 1,900-2,100 სთ.

ნალექების წლიური ჯამია 600-700 მმ. თვიური ჯამის მაქსიმუმი, როგორც წესი, მაის-ივნისში მოდის და საშუალოდ 110 მმ-ს შეადგენს. მეორე მაქსიმუმი სექტემბერ-ოქტომბრისთვის არის დამახასიათებელი – 60 მმ-მდე. ნალექების მინიმუმი დეკემბერშია – 24 მმ. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გვალვები.

<sup>1</sup> დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა



ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2.8 მ/წმ-ს უდრის. ძირითადად გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარები.

ზაფხულის თვეებში ხშირია კოკისპირული წვიმა და ელჭექი, რომელსაც ხშირად თან ახლავს სეტყვა. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა 4-5.

## **ბუნებრივი საფრთხეები**

ბუნებრივი საფრთხეებიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია მეწყრული პროცესები, ღვარცოფები, წყალდიდობები და წყალმოვარდნები რასაც თან ახლავს ნაპირების ეროზიული პროცესების გააქტიურება, ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, გვალვა და სეტყვა. ასევე კლდეზვავები და ქვათაცვენა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოქცეულია სეტყვის მაღალი საფრთხის ქვეშ.<sup>2</sup>

2011 წლის წყალდიდობების შედეგად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, დაზარალდა დაახლოებით 600 ოჯახი და 760 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული.<sup>3</sup>

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად იმეწყრება გომარეთის პლატოს კიდეები. მდ. მაშავერას კანიონსა და ბოლნის-დმანისის საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთებზე აქტიურია კლდეზვავისა და ქვათაცვენის პროცესები.<sup>4</sup>

მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, უკანასკნელ ათწლეულში ბუნებრივი ხიფათებისაგან მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ეკონომიკური ზიანის ასანაზღაურებლად 1,000,000 ლარი გამოიყო.<sup>5</sup>

## **ბუნებრივი რესურსები**

### **მიწის რესურსი**

დმანისის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია მძიმე შავმიწა, მუქი ყავისფერი და ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები. ნატბურ ტაფობებსა და ტბების პირას გვხვდება დაჭაობებული და ნესტიან მდელოიანი ნიადაგები. აქაური ნიადაგი მდიდარია მაგნიუმით და კალციუმით, უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს ნატრიუმსა და კალიუმს. ასეთი ტიპის ნიადაგებს, ერთი მხრივ, კარგი აგრონომიული თვისებები აქვს ხოლო მეორე მხრივ, ადვილად ექვემდებარება ეროზიული პროცესების გავლენას. ნიადაგების სტრუქტურა ხელს უწყობს მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა მარცვლეულისა და ბოსტნეულის წარმოებას, როგორცაა: კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, ლობიო, სიმინდი, ხორბალი და სხვა. ბუნებრივი სათიბები და საძოვრები ალპურ და სუბალპურ ზონებში მდებარეობს, რაც ერთ-ერთი მყარი წინაპირობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეცხვარეობის განვითარებისათვის.

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება ნიადაგის შემდეგი ტიპები:

- ყავისფერი ნიადაგები (Eutric cambisols and Calcic Kastanozems)
- მთის შავმიწები (Chernozems)
- ყომრალი ნიადაგები (Eutric cambisols)
- მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები (Humic cambisols)

2 <http://drm.cenn.org/index.php/en/community-profile>

3 <http://nala.ge/uploads/dmanisi.pdf>

4 საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიური სამიშროებების მართვის დეპარტამენტი. საინფორმაციო ბიულეტენი - „საქართველოში 2012 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2013 წლისთვის“. თბილისი - 2013

5 <http://nala.ge/uploads/dmanisi.pdf>

- ნეომპალა-კარბონატული ნიადაგები (Rendzic Leptosols)
- ალუვიური ნიადაგები (Fluvisols)
- პრიმიტიული ნიადაგები (Leptosols)<sup>6</sup>

## წყლის რესურსი

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდინარეები: ხრამი, მაშავერა, მოშევანი და შავწყალა. მდინარეები გამოიყენება ირიგაციული და ენერგეტიკული დანიშნულებით. მაგალითად, მაშავერაზე ფუნქციონირებს 5 სარწყავი სისტემა, რომელიც ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების 7440 ჰა ფართობს რწყავს. მუნიციპალიტეტში მდებარეობს 3 საირიგაციო წყალსაცავი: იაკუბლოს, პანტიანის და მთის ძირის, რომელთა მთლიანი მოცულობა დაახლოებით 19 მლნ მ<sup>3</sup>-ია.

ამ მდინარეების რესურსები 1-დან 2 მეგავატამდე სამძლავრის ჰიდროელექტროსადგურის კასკადების აგების საშუალებას იძლევა. გარდა მდინარეებისა, მუნიციპალიტეტში არის 2 ბუნებრივი ტბა – პანტიანისა და გომარეთის.

## ტყის რესურსი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 23 936 ჰა ფართობი ტყეს უკავია, აქედან 5 500 ჰა-ზე ფიჭვია გაშენებული, 20 ჰა-ზე – კაკალი, 0,5 ჰა-ზე წაბლის ხეებია, 5 ჰა-ზე – მოცვის ბუჩქები, 5 ჰა მუხის ხეებს უჭირავს. ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი ნიფლის ხეებით არის დაფარული, მას მოსდევს რცხილა, ხოლო შედარებით ნაკლები რაოდენობითაა იფანი, მუხა და სხვა ხეები. გავრცელებულია ასკილი და სხვადასხვა კენკროვანი მცენარე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და გაშენებული ტყეები რეკრეაციული დანიშნულებისაა. ასეთია, პანტიანის ტბის გარშემო არსებული ფიჭვის ტყე, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში მრავალ დამსვენებელს იზიდავს.

## მინერალური რესურსი

მუნიციპალიტეტს სამშენებლო მასალების წარმოების დიდი რესურსი აქვს გრანიტის, ქვიშის და პემზის სახით. მოსაპირკეთებელი მასალებიდან მოიპოვება: ბაზალტი, ყვითელი და მწვანე ტუფი. მოქმედებს ოქროს შემცველი და დიდი რაოდენობის ტორფის საბადოები, რომლის გამოყენება შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ნიადაგის გასანოყიერებლად. მუნიციპალიტეტი მდიდარია როგორც სასმელი, ასევე სამკურნალო წყლებით\*.

## ადამიანური კაპიტალი


მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის მონაცემებით, დმანისის მოსახლეობა შეადგენს 31 795 ადამიანს. აქედან 15 585 მამაკაცია, ხოლო 16 210 – ქალი. მოსახლეობის 15% ქ. დმანისში ცხოვრობს ხოლო 85 % სოფლებშია გადანაწილებული. მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა უმეტესობა აზერბაიჯანელია (65,37%), ქართველები მოსახლეობის 32,16%-ს შეადგენენ, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა არის: სომეხი, რუსი, ბერძენი და სხვა ეროვნების – 2,47%. დმანისელთა უდიდესი ნაწილი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მაჰმადიანია, შემდეგ მოდის მართლმადიდებელი მოსახლეობა, ხოლო დანარჩენი არის გრიგორიანელი.

<sup>6</sup> მერსი ქორი, დმანისის მუნიციპალიტეტის საბაზისო კვლევა

\* დმანისის რუკა, იხ. გვ 34

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასაკის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

**დიაგრამა 1: დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით**



მუნიციპალიტეტში 15 წელს ზემოთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 42.9% დასაქმებულია. მათ შორის, 76.2% მუშაობს საკუთარ მიწაზე, 2.4%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი, 10.0% მუშაობს ანაზღაურებით, 11.5% - სხვადასხვა დარგებში. მუნიციპალიტეტში უმუშევრობის დონე 32.4%-ია. 2 323 ადამიანი იღებს საარსებო შემწეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

**ცხრილი 1: დმანისის მუნიციპალიტეტის და ქვემო ქართლის დასაქმების სტატისტიკა<sup>7</sup>**

მუნიციპალიტეტი	დასაქმებულთა წილი 15 წ-ზე უფროს მოსახლეობაში(%)	აქვს საკუთარი ბიზნესი	მუშაობს ანაზღაურებით	მუშაობს საკუთარ მიწაზე	სხვა	უმუშევრობის დონე
დმანისი	42.9	2.4	10.0	76.1	11.5	32.4
ქვემო ქართლი	43.7	4.1	35.7	42.5	17.6	26.1

## გენდერი

საქართველოში, ზოგადად, მიჩნეულია, რომ არსებობს გენდერული დისკრიმინაცია რამდენიმე კუთხით. ქვეყანაში არსებული კულტურა და ტრადიციები განაპირობებს, რომ ოჯახში, ხშირად, საქმიანობები გადანაწილებულია გენდერული პრინციპით – „სახლის გარეთ“ აქტივობები, როგორცაა მოლაპარაკებები ტექნიკის ან სასუქების მიმწოდებლებთან, მოსავლის გაყიდვა და ყანის მოვლა, მამაკაცის პრეროგატივად ითვლება. ქალებს კი „შინაური საქმეები“ აბარიათ – სახლის/ეზოს მოვლა, საჭმლის მომზადება, რეცხვა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად მძიმე სამუშაოებს, ძირითადად, მამაკაცები ასრულებენ – მაგალითად, მძიმე ტომრების გადატანა – როგორც წესი, კარტოფილის ან პომიდვრის მოსავლის აღებაზე ქალები მუშაობენ, რაც დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. სოფლად არსებული საქმეების გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, ქალებს საშუალოდ უწევთ უფრო მეტი დროის დახარჯვა საქმეებზე, ვიდრე მამაკაცებს, რადგან „სახლის გარეთა“ აქტივობები უფრო მცირეა, ვიდრე „საშინაო საქმეები.“<sup>8</sup>

7 პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში

8 ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

„საშინაო“ და „საგარეო“ საქმეების გარდა, არსებობს, ასევე, „მნიშვნელოვანი“ და „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ საქმეებიც. „მნიშვნელოვანი“ გადანაცვტილებებს, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, ძირითადად კაცები იღებენ. ქალები კი – „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ ყოველდღიურ გადანაცვტილებებს, როგორცაა, მაგალითად, საკვების მომზადება და ბავშვების მოვლა. რეალურად, გამოდის, რომ სწორედ ქალები წყვეტენ ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რადგან ტექნიკის ან საქონლის შეძენა ადგილობრივი ფერმერებისთვის არ არის ხშირი მოვლენა. ოჯახის სახარჯო ბიუჯეტი, ძირითადი მოხმარების საგნების საყიდლად, ქალების განკარგულებაშია. თუმცა, „ოჯახის უფროსის“ ტიტული მაინც მამაკაცებს ეკუთვნით.<sup>9</sup>

სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში ქალების როლი და პასუხისმგებლობები საკმაოდ ლიმიტირებულია, მაგრამ საკმაოდ შრომატევადი. ტექნიკის დაქირავების ან მოსავლის გაყიდვის პროცესს, როგორც წესი, მამაკაცები წარმართავენ. თუმცა მოსავლის აღების, მაგალითად, კარტოფილის ამოღების სამუშაოებში, ქალები ხშირად არიან ჩართულნი.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტრენინგების და დისკუსიების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს ქალთა როლის გაზრდის პოტენციური სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში. მაგალითად, ქალთა ნაწილს სურს, დაეუფლოს იმ ტექნიკური საშუალების მართვას, რაზეც მოთხოვნა არსებობს მუნიციპალიტეტებში. მართალია, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი ერთნაირი ენთუზიაზმით არ შეხვედრია მსგავს ინიციატივებს, მაგრამ შეიქმნა მსგავსი შესაძლებლობის განხილვის პრეცედენტი. ამ კუთხით ქალების როლის ზრდა მცირედით მაინც მოახდენს გენდერული როლების დაბალანსებას.

საქართველოში არსებობს საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა გენდერული თანასწორობის კუთხით. 2010 წელს მიიღეს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რის შემდეგაც დამტკიცდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა. ასევე, არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომლებითაც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება იმსჯელონ მიმდინარე გენდერულ საკითხებზე და მიიღონ გადანაცვტილებები. თუმცა, პრობლემად რჩება არსებული კანონების და ნორმების აღსრულება. დამკვიდრებული კულტურული სტერეოტიპები და გენდერული როლები, პრაქტიკულად, არ იცვლება. ასევე, ხშირად სხვადასხვა ცნობადი სახეები ცდილობენ გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას. საბოლოო ჯამში, ძალიან ცოტაა შანსი, რომ გენდერული როლები გათანაბრდეს.

## **ინფრასტრუქტურა**

### **საგზაო ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მთლიანი სიგრძე 402,62 კმ-ია, საიდანაც საერთაშორისო მნიშვნელობის მონაკვეთი თბილისი-ბოლნისი-გუგუთი 32 კმ-ს შეადგენს, ხოლო თბილისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანი – 80 კმ-ს. ტერიტორიულ ორგანოებთან დამაკავშირებელი გზების სიგრძე 192,7კმ-ია.

ადგილობრივი თვითმმართველობის 2012 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 20 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზა მოასფალტებულია. სოფლების მისასვლელი და შიდა გზები ძირითადად გრუნტისაა, რაც მთლიანობაში 223 კმ-ია. თუმცა, ზოგან გვხვდება ძველი ასფალტის საფარიც, რომელიც მეტწილად სარეაბილიტაციოა.

<sup>9</sup> ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

სოფლების: გომარეთი, შინდლარი, კამარლო, შახმარლო და კიზილქილისა შიდა გზები პერიოდულად იხრეშება, თუმცა, ძლიერი წვიმებისას ისინი ირეცხება და გზის საფარი უმეტესწილად დაზიანებულია. განსაკუთრებით სავალალოა გზის მდგომარეობა სოფელ დიდი დმანისიდან სომხეთის საზღვრამდე, სოფელ გუგუთის გავლით.

### **სასმელი წყლის ინფრასტრუქტურა**

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის მომარაგების სისტემაში სულ არის 60 დიდი და პატარა სათავე ნაგებობა. ყველა მათგანი ფუნქციონირებს და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სასმელი წყალი ყველა დასახლებულ პუნქტს 100%-ით მიეწოდება. ზაფხულში, გვალვების დროს, სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის ოროზმანისა და დიდი დმანისის თემების მოსახლეობა. ქალაქ დმანისში ძლიერი წვიმებისას სასმელი წყლის სისტემა ბინძურდება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში წყალი მოხმარებისათვის უვარგისია.

საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია მხოლოდ ქ. დმანისში და მისი საერთო სიგრძე 16,5 კმ-ია. სისტემა დამაკმაყოფილებლად მუშაობს და მასში ჩართულია ქალაქის მოსახლეობის 95 %.<sup>10</sup>

### **გამომარაგება**

რაც შეეხება ბუნებრივი აირით მომარაგებას, 2013 წლის მდგომარეობით, ქ. დმანისის 1800 ოჯახიდან 1400 სარგებლობს ბუნებრივი აირით, ასევე, სოფელ დიდი დმანისის – 7, სოფელ მაშავერას – 4 და სოფელ გომარეთის 8 ოჯახი მარაგდება ბუნებრივი აირით.<sup>11</sup>

### **ელექტროენერჯით მომარაგება**

დმანისის მუნიციპალიტეტი მთლიანად არის ელექტრიფიცირებული და ელექტროენერჯია ყველა დასახლებულ პუნქტს მიეწოდება. გამონაკლისია საკირეს თემის ერთი სოფელი, რომელიც 17 კომლისგან შედგება და მათ ელექტროენერჯია ქსელის გაუმართაობის გამო არ მიეწოდებათ.

### **დასუფთავების ინფრასტრუქტურა**

დმანისის მუნიციპალიტეტში ერთი არალეგალური ნაგავსაყრელია – 0,5 ჰა ფართობით. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობა 2800მ<sup>3</sup>-ია. დასუფთავებაზე დაწესებულ მოსაკრებელს მოსახლეობის 80% იხდის.

### **საირიგაციო სისტემების ინფრასტრუქტურა**

დმანისის მუნიციპალიტეტში მაგისტრალური სარწყავი არხის (დმანისი-განთიადი) მთლიანი სიგრძე 22 კმ-ია, რომელსაც დაახლოებით 1153 ჰა მიწის ფართობის მორწყვა შეუძლია, თუმცა სარწყავი ინფრასტრუქტურა მოშლილია და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 170 ჰა ფართობი ირწყვება თვითღინებით. უმოქმედოა მთისძირი-ჭავახის 11 კმ-იანი მაგისტრალური სარწყავი არხი, მისი რწყვის პოტენციალი 1300 ჰა ფართობია, 39 კმ-იანი იაილოს არხი – 2000 ჰა-ს რწყვის პოტენციალით და 5.9 კმ-იანი ეგრისის სატუმბი სადგურის სარწყავი არხი, რომლის პოტენციალი 3028 ჰექტარია.

10 რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

11 დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

**ცხრილი 2: სარწყავი სისტემები დმანისის მუნიციპალიტეტში<sup>12</sup>**

<b>სარწყავი სისტემები</b>				
<b>დასახელება</b>	<b>სიგრძე</b>	<b>სარწყავის ტიპი</b>	<b>მორწყვის პოტენციალი</b>	<b>რეალური მაჩვენებელი</b>
დმანისი-განთიადის ცენტრალური მაგისტრალი	22 კმ	თვითდინებით	1153 ჰა	170 ჰა
მთისძირი-ჭავჭავის მაგისტრალი	11კმ	თვითდინებით	1300 ჰა	უმოქმედო
იაილოს წყალსაცავი	39 კმ	თვითდინებით	2000 ჰა	უმოქმედო
ეგრისის სატუმბო სადგური	5.3 კმ	მექანიკური	3028 ჰა	უმოქმედო

**ადგილობრივი ეკონომიკა**

**სოფლის მეურნეობა**

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობი 85,947 ჰექტარია. მათ შორის: სახნავი ფართობი არის 12,072 ჰა, სათიბი – 13,330 ჰა, საძოვრები – 59,583 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს 962 ჰა.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა (მსხვილფეხა და წვრილფეხა) და მემინდვრეობა. მეცხოველეობაში ჩართულია მოსახლეობის 60%, რომელიც რძისა და რძის პროდუქტებს აწარმოებს. ერთ ფურზე მოწველილი რძის წლიური რაოდენობა საშუალოდ 1,200 კგ-ია. სწორი მოვლისა და კვების პირობებში შესაძლებელია ამ მაჩვენებლის 2,500 კგ-მდე გაზრდა. ბუნებრივი პირობები ალპური და სუბალპური საძოვრები – ხელსაყრელია შვეიცარიული ტექნოლოგიის ყველის საწარმოებლად.

**მეცხოველეობა** მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მესაქონლეობა, ადგილობრივი თვითმმართველობის 2012 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 22 210 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია აღრიცხული, ძირითადად, ადგილობრივი და კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხები, რომელთა პროდუქტიულობა ლაქტაციის პერიოდში 1200-1500 ლიტრი რძეა.

**მეფუტკრეობა** უკანასკნელ პერიოდში ფართოდ განვითარდა. ალპურ და სუბალპურ ზონაში დამზადებული თაფლი ხარისხით და შემადგენლობით უნიკალურია. 2012 წელს აღრიცხულია 34972 ფუტკრის ოჯახი. დმანისში ფუნქციონირებს მეფუტკრეობის 2 კოოპერატივი. ამ საქმიანობას მოსახლეობის 5% მისდევს.

**მემინდვრეობაში** უპირატესად განვითარებულია კარტოფილის და მარცვლოვანი, აგრეთვე, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების წარმოება. კარტოფილის საჰექტრო მოსავლიანობა საშუალოდ 13,000-15,500 კგ-ია. ადგილობრივი თვითმმართველობის ინფორმაციით, 2012 წელს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მოსავლიანობა დაფიქსირდა და მთლიანობაში 8033.5 ტონა შეადგინა. ხორბლის მოსავლიანობა 1 ჰა-ზე საშუალოდ 2,500-2,700 კგ-ია 2009-2012 წლების მონაცემებით, ხორბლის მოსავლიანობა გამოირჩევა მზარდი ტენდენციით – 433-დან 599 ტონამდე. ბუნებრივ-კლიმატური პირობები საუკეთესოა მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის (სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, ლობიო, სიმინდი, ხორბალი და სხვ.) საწარმოებლად.<sup>13</sup>

12 პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში

13 მერსი ქორი, დმანისის მუნიციპალიტეტის საბაზისო კვლევა

მეცხვარეობა – დმანისის მუნიციპალიტეტში ასევე განვითარებულია მეცხვარეობა. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 30 528 წვრილფეხა პირუტყვი (ცხვარი და თხა). სულადობის 96% თავმოყრილია მოსახლეობის კერძო საკუთრებაში. მატყლის ნაპარსი ერთ სულზე 2-2,5 კგ-ია.<sup>14</sup>

**სანარმოები**

ამჟამად რეგისტრირებულია დაახლოებით 115 მცირე და 22 საშუალო სასოფლო-სამეურნეო სანარმო. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთი დარგია კვების მრეწველობა (ყველ-კარაქის წარმოება). ფუნქციონირებს ყარაბულახის, ოროზმანის, ირგანჩაის, გომარეთისა და ჯავახის რძის შემკრები პუნქტები (საშუალოდ, ჯამში დღე-ღამეში წარმადობა 30 ტონაა) ეს პუნქტები სამაცივრე ფუნქციასაც ითავსებენ.

ასევე მოქმედებს ხორბლის გადამამუშავებელი სანარმო. მექანიზაციის ცენტრები მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ემსახურებიან. მუნიციპალიტეტში არის სხვადასხვა სახის საცალო და საბითუმო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტი. არსებობს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და ღორების ფერმები და ფუტკრის მოსაშენებლები.

**მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში არის SWOT ანალიზი, რომელიც შემდგომ უფრო დეტალურად არის განხილული:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>გეოგრაფიული სიახლოვე სომხეთის საზღვართან</li> <li>ნოყიერი ნიადაგი მემცენარეობისთვის</li> <li>ბუნებრივი რესურსები/ნიადაგისუფლი (ტორფი, ტუფი, ბაზალტი და ოქრო)</li> <li>უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენების კერა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მოუნესრიგებელი საგზაო და სარწყავი ინფრასტრუქტურა</li> <li>სოფლის მეურნეობის ყველა დარგში კვალიფიციური კადრების სიმწირე</li> <li>ინფორმაციის ნაკლებობა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (სასუქების არასწორი გამოყენება და მიწის გამოფიტვა)</li> <li>სასაწყობო მეურნეობის, ტექნიკის და აგრეგატების არასაკმარისობა</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა სომხეთთან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტიქიური უბედურება</li> <li>მიწის გამოფიტვის საშიშროება</li> </ul>

**ძლიერი მხარეები**

რეგიონის სხვა მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მსგავსად, დმანისიც ახლოსაა სომხეთის საზღვართან. დმანისის მუნიციპალიტეტის ცენტრი სულ რაღაც 38 კმ-ით არის დაშორებული გუგუთის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ტრადიციული დარგია. ამის ერთ-ერთი მიზეზი აქაური ნიადაგია, რომელიც უხვად შეიცავს კალციუმს და მაგნიუმს, რაც განაპირობებს კარგ აგრო-ნომიულ თვისებებს.

14 მერსი ქორი, დმანისის მუნიციპალიტეტის საბაზისო კვლევა

დმანისი ასევე მდიდარია სხვადასხვა სახის წიაღისეულით, რაც მუნიციპალიტეტისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა. აქ მოიპოვება გრანიტი, პემზის ქვა, ბაზალტი, ყვითელი და მწვანე ტუფი. მუშაობს ოქროს შემცველი საბადოც. დიდი რაოდენობით მოიპოვებენ ტორფსაც, რომლითაც ნიადაგს ანოყიერებენ. მუნიციპალიტეტი მდიდარია როგორც სასმელი, ასევე სამკურნალო წყლებითაც.

დმანისის მუნიციპალიტეტში არის 190-მდე არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობა, მათ შორის შუა საუკუნეების დმანისის ნაქალაქარი, გვიანდელი ბრინჯაოს – ადრინდელი რკინის ხანის არქეოლოგიური ფენები და დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლი. 1999-სა და 2001 წლებში დმანისის რეგიონში გათხრების შედეგად აღმოაჩინეს ჰომინიდთა – უძველესი ადამიანების თავის ქალები და ყბის ძვლები.<sup>15</sup>

### **სუსტი მხარეები**

დმანისში სოფლებში მისასვლელი შიდა გზები, ძირითადად, ცუდ მდგომარეობაშია. მათი უმეტესობა გრუნტისაა, მცირე ნაწილში კი გვხვდება ძველი ასფალტის საფარი, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებს. ძლიერი წვიმებისას ზოგიერთ სოფელში მისასვლელი მოხრეშილი გზა ირეცხება და ბიანდება.

სარწყავი სისტემები დმანისში საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. ადრე მოქმედი ოთხი სარწყავი არხიდან, რომელთა მორწყვის საერთო პოტენციალი 6,5 ათას ჰექტარს აღწევდა, ახლა მხოლოდ ერთი, ყველაზე მცირე პოტენციალის მქონე, დმანისი-განთიადის ცენტრალური მაგისტრალია დარჩენილი. ეს არხი, დღესდღეობით, მხოლოდ 170 ჰექტარს რწყავს.

ადგილობრივი სოფლის მეურნეობისთვის პრობლემაა კვალიფიციური პროფესიონალების არსებობა. მუნიციპალიტეტში საკმარისად არ არიან ვეტერინარები და აგრონომები, რომლებიც დაეხმარებოდნენ ადგილობრივ ფერმერებს სოფლის მეურნეობის უფრო ეფექტიან წარმოებაში. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ფერმერებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა ინფორმაციის ნაკლებობა. ხშირად, მოსახლეობას არ შეუძლია სხვადასხვა დაავადების იდენტიფიცირება, არ იცის როგორ ებრძოლოს მათ, რა პრეპარატები გამოიყენოს. ადგილობრივი ფერმერები არასწორი რაოდენობით იყენებენ ხოლმე შხამ-ქიმიკატებს. ასევე, მათ არაფერი იციან ახალი ტექნოლოგიების შესახებ.

ფერმერებისთვის ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა სასაწყობე მეურნეობების უქონლობა. ფერმერი იძულებულია ნაკვეთიდანვე გაყიდოს თავისი მოსავალი წინასწარ მოლაპარაკებულ მყიდველთან. შედეგად, მათ არა აქვთ საშუალება დაასაწყობონ თავიანთი პროდუქტი და ბაზარზე უფრო ხელსაყრელ ფასებს დაელოდონ.

### **შესაძლებლობები**

დმანისის მუნიციპალიტეტისთვის ხელშესახები პოტენციალია სასაზღვრო-გამშვები პუნქტის არსებობა სოფელ გუგუთთან. დღესდღეობით ეს პუნქტი არ არის სომხეთთან დამაკავშირებელი მთავარი პუნქტი, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი უპირატესობად იქცეს ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის გაზრდის შემთხვევაში.

### **საფრთხეები**

მიუხედავად იმისა, რომ დმანისში ნიადაგის შემადგენლობა ხელსაყრელია მემცენარეობის განვითარებისთვის, ის ასევე შეიცავს ეროზიის რისკს.

დმანისი საკმაოდ მაღლა მდებარეობს, ამიტომ შედარებით ცივი და ხანგრძლივი ზამთრის გამო, არსებობს გზების ჩაკეტვის და, ასევე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაზიანების საფრთხე.

<sup>15</sup> საქართველოს ძეგლები, ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა, <http://www.dzglebi.ge/dzglebi/d/dmanisi.html>



მეორე ნაწილი:

## დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და პრიორიტეტები

დმანისის მდგომარეობის გაანალიზება და სწორი სამომავლო პრიორიტეტების შერჩევა, ჩამოყალიბებული ხედვა და პრიორიტეტები მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას სწორად განსაზღვროს და დაგეგმოს ღონისძიებები ეკონომიკის წინსვლისთვის. უფრო კონკრეტულად, ასეთი ხედვა და პრიორიტეტები ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას. საბოლოო ჯამში, ეს აისახება მოსახლეობის შემოსავლებსა და საერთო სოციალურ ფონზე.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და SWOT ანალიზის შედეგად, გამოვლინდა დმანისის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები, რომლებიც დეტალურადაა ქვემოთ განხილული.

### დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოაყალიბეს მუნიციპალიტეტის მომავლის კონცეფცია, რომელიც აღწერს, თუ როგორი იქნება მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი მოსახლეობის მდგომარეობა მომავალში (ჩვეულებისამებრ, 3-4 წლის შემდეგ).

**ხედვა:** თუკი დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფეროში (მეცხოველეობის და მემცენარეობის დარგში) ხელმისაწვდომი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები, ადგილობრივ ბაზარზე გაიზრდება ამ სფეროში პროდუქციის წარმოების მასშტაბები, რაც გააუმჯობესებს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონეს 2016 წლისთვის.

### დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები

დმანისის მუნიციპალიტეტში გამართული სამუშაო შეხვედრებითა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა მკაფიო მიზნები ადგილობრივი ბაზრის განვითარებისთვის.

მთავარი მიზნები ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგზე, მაგრამ მათ, ხედვასთან შედარებით, მაინც აღწერითი ხასიათი აქვთ:

- სოფლის მეურნეობის დარგის (მეცხოველეობის) განვითარებით (წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდით) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისათვის (ფერმერული მეურნეობების) ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებით ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა.

### დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები

ხედვის და ზოგადი მიზნების განსაზღვრის შემდეგ დმანისის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა ადგილობრივი ბაზრის განვითარების რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტები დაიყო პირველი და მეორე რიგის პრიორიტეტებად. პრიორიტეტული მიმართულებები დაეყრდნო SWOT ანალიზს, მუნიციპალიტეტის პროფილს, ხედვასა და ზოგად მიზნებს.

### **პირველი რიგის პრიორიტეტები:**

- **აგრო-განათლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.** აუცილებელია, ფერმერებს ჰქონდეთ სოფლის მეურნეობის შესაბამისი განათლება, რომ სწორად დაგეგმონ საწარმოო პროცესი. ფერმერებმა ხშირად არ იციან რძის შეგროვების, შენახვის და დამუშავების დადგენილი წესები. მათ, ასევე, არა აქვთ ინფორმაცია პოტენციური ბაზრების და ფასების დინამიკის შესახებ. სოფლის მეურნეობის სფეროში მცირეა პროფესიონალების რაოდენობა, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის ფერმერებს. ამიტომ, ვეტერინარების და აგრონომების მომზადება მნიშვნელოვანი ამოცანაა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.
- **ინვესტიციების მოზიდვა.** ინვესტიციების მოზიდვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების (რძის და ხორცის) გადამამუშავებელი საწარმოების და სასაწყობე სამაცივრე მეურნეობების შესაქმნელად.

### **მეორე რიგის პრიორიტეტები:**

- **ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება.** სომხეთის საზღვართან სიახლოვე, განვითარებადი ინფრასტრუქტურა და ინფორმაციის გაცვლის არხები ხელსაყრელია ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობისთვის. შესაბამისად, შესაძლებელია ფოკუსირება სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ინფორმირება – დაინტერესებულმა ფერმერებმა უნდა იცოდნენ, რა მოთხოვნაა რძეზე და რძის პროდუქტებზე საზღვრის იქითა მხარეს, რა ფასებია და ა. შ.
- **ჯიშების გაუმჯობესება.** დმანის ხელსაყრელი კლიმატის და ნიადაგის გამო აქვს ჯიშების გაუმჯობესების პოტენციური როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეობაში. ამ პოტენციალის გამოყენება ორივე დარგს დიდ სარგებლობას მოუტანს.

მესამე ნაწილი:

## დმანისის მუნიციპალიტეტში წარმოებული რძისა და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

### დმანისის მუნიციპალიტეტი

დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ყველაზე გავრცელებული დარგი მესაქონლეობაა. ადგილობრივი თვითმმართველობის მონაცემებით, 2012 წელს მუნიციპალიტეტში 22,000-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 29 000 მეტი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი აღირიცხა. საშუალო წველადობამ 1 სულზე წლის განმავლობაში 1.5-2,0 ტონა შეადგინა.

ამ დარგის განვითარება განპირობებულია ადგილობრივი კლიმატით და გეოგრაფიული მდებარეობით – მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 1250 მეტრზე, მისი ტერიტორია მოიცავს დიდ სათიბ და საძოვარ ფართობებს, პირუტყვი უზრუნველყოფილია უხეში საკვებით და ეს ყოველივე საუკეთესო პირობაა მეცხოველეობის განვითარებისთვის. ამასთან, სათიბ-საძოვრები განლაგებულია, ძირითადად, ალპურ და სუბალპურ ზონებში. შესაბამისად, ბალახნარევის შემადგენლობა ხელს უწყობს ადგილობრივი პირუტყვის მაღალ პროდუქტიულობას და რძის ნაწარმის კარგ საგემოვნო თვისებებს. დმანისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საკმაოდ ახლოს თბილისთან (102 კმ), ბოლნისთან და მარნეულთან, რაც განაპირობებს აგრარული ბაზრების ხელმისაწვდომობას. დმანისში, ტრადიციულად, ზაფხულში ჩამოდიან დამსვენებლები და მას შემდეგ, რაც დმანისის ნაქალაქარი მსოფლიო ღირსშესანიშნაობად იქცა, ქალაქს სტუმრობს ბევრი ტურისტი, შესაბამისად იზრდება ადგილზე რძის ნაწარმის მომხმარებელთა რაოდენობაც. აღსანიშნავია, რომ მესაქონლეობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრადიციული დარგია.

ფერმერები აწარმოებენ როგორც რძეს, ასევე რძის ნაწარმს და ხორცს. ერთ-ერთი ნამყვანი დარგია ყველის წარმოება. ყველს ფერმერები მრავალი წელია ამზადებენ. მოსახლეობა დაახლოებით 20-25%-ს რძის და მანვნის სახით, დანარჩენს კი ყველის სახით ყიდის. ადგილობრივი ყველი საქართველოს ბაზარზე ცნობილია როგორც „დმანისის გლეხური“, „ქარხნული ყველი“ და „დმანისის სულგუნი“ და მას ახასიათებს მაღალი საგემოვნო თვისებები და ცხიმოვანობა, ასევე პოპულარობით სარგებლობს „დმანისის ცხვრის“ ყველი ან ძროხისა და ცხვრის რძის ნარევით დამზადებული ყველი, რომელთაც, ძირითადად, ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობა აწარმოებს. ყველის დამზადება დმანისში ნაკლებად არის დამოკიდებული ბაზარზე რძის და ყველის ფასების ცვალებადობაზე, აქაურ ყველზე მუდმივად არის მოთხოვნა და მისი ფასი მუდმივად მაღალია. აქ წარმოებული ყველის უდიდესი ნაწილი (80%) კუსტარული წესით მზადდება ოჯახებში (წვრილ ფერმერთა მეურნეობებში).

ფერმერთა მეურნეობებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა დამოკიდებულია ძირითადად ოჯახების შესაძლებლობებზე (სათიბ-საძოვრების და სახნავი ფართობი, ოჯახების წევრთა რაოდენობა და გენდერული შემადგენლობა, ეკონომიკური შესაძლებლობა და სხვ.). უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მესაქონლეობის პროდუქციაზე, და კერძოდ, ყველზე, საბაზრო ფასებმა საგრძნობლად მოიმატა (1 კგ „დმანისის გლეხურისა“ და „ქარხნული ყველის“ საბაზრო ფასი 5.50-6.5 ლარია ზაფხულში და 9-10 ლარი ზამთარში. ხოლო 1 კგ სულგუნი და „დმანისის ცხვარი“, შესაბამისად, 8-9 ლარი და 12-14 ლარი ღირს). ხშირად ამის გამო ფერმერები ზრდიან მეწველი

ფურების სულადობას და არ ფიქრობენ პირუტყვის პროდუქტიულობის მომატებაზე. თითქმის არცერთ მცირე ფერმერულ მეურნეობაში არ აწარმოებენ რეგულარულ ხარჯთაღრიცხვას, საკუთარ შრომას არ მოიაზრებენ ხარჯებად, არ ადგენენ მოგება-ზარალის უწყისს და მხოლოდ ხანდახან ითვლიან შემოსავალს და თითქმის არასოდეს – სუფთა მოგებას. შესაბამისად, ხშირად ვერ ითვლიან, თუ რამდენად რენტაბელურია მათი მეურნეობა.

მიუხედავად იმისა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობა ფართოდ არის გავრცელებული, აქაც არსებობს უამრავი პრობლემა, რომლებიც არამართო დმანისის, არამედ მთელი ქვეყნის მესაქონლეობას სდევს თან და პირდაპირ მოქმედებს პირუტყვის პროდუქტიულობასა და ყველის ფასზე. მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ ხშირად ფერმერებმა არ იციან საქონლის კვების, მოვლა-პატრონობის, რძის წარმოების და გადამუშავების ელემენტარული წესები. ქვემოთ განვიხილავთ მესაქონლეობის გაძღოლის სისტემის ზოგიერთ ასპექტს, არსებულ სირთულეებს და შევეცდებით ვაჩვენოთ ფერმერებს, როგორ არის შესაძლებელი არსებულ პირობებში, ადგილობრივ რესურსებზე მცირე დამატებითი დანახარჯებით საქონლის პროდუქტიულობის ამაღლება.

### **ჯიშები და მათი გაუმჯობესება**

დმანისის მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყველაზე გავრცელებული ჯიშია კავკასიური წაბლა. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში რამდენჯერმე განხორციელდა საქონლის ხელოვნური განაყოფიერება, თუმცა ამას ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. ფერმერები მიიჩნევენ, რომ ხელოვნური განაყოფიერებისას დაბადებამდე ხბო იმდენად დიდი იზრდება, რომ კავკასიური წაბლას ჯიშის ძროხებს მოგება უჭირთ და ხანდახან კვდებიან კიდევ.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიური წაბლა ყველაზე მეტად გავრცელებული ჯიშია, დღეისათვის აბსოლუტურად სუფთა ჯიშის პირუტყვი თითქმის არ გვხვდება, ანუ არსებობს ამ ჯიშის ჰიბრიდები, რომლებსაც, როგორც წესი, შენარჩუნებული აქვს ჯიშის დამახასიათებელი დადებითი თვისებები. კავკასიური წაბლა ხასიათდება მაღალი მერძეული და სახორცე პროდუქტიულობით.

დღეისათვის არ არსებობს სანაშენე მეურნეობები და შეჯვარება აბსოლუტურად უკონტროლოდ ხდება. მიუხედავად ამისა, სოფლად გავრცელებულ პირუტყვს შენარჩუნებული აქვს ამ ჯიშისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებები: შედარებით მაღალი წველადობა (1500-1800-დან მაქსიმუმ 2000 ლიტრამდე), კარგი შეხორცება და ექსტერიერი. თუმცა, არადამაკმაყოფილებელი ზოოჰიგიენური პირობების, კვების პროფილაქტიკის, მკურნალობის და არასწორი განაყოფიერების გამო ეს პირუტყვი ვერ აღწევს პროდუქტიულობის გენეტიკურ პოტენციალს. ამავე დროს, საქართველოს სოფლებში ძირითადად არსებული პირუტყვის ფონზე, დმანისის ფურებს ერთ-ერთი მაღალი პროდუქტიულობის მქონე პირუტყვად მიიჩნევენ.

დმანისის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მცირე ფერმერული მეურნეობის განვითარების სხვადასხვა პროგრამა განახორციელეს. ამ პროგრამების ფარგლებში ადგილობრივი ძროხები ხელოვნურად განაყოფიერეს, მაგრამ ეს პროგრამები არ ჩატარდა მასობრივად და ძალზე მოკლე ვადაში დასრულდა.

პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი ფართოდ ვერ დაინერგა შემდეგი მიზეზების გამო:

1. ადგილობრივმა მოსახლეობამ ცოტა რამ იცის ამ მეთოდის შესახებ, მის უპირატესობასა და დადებით მხარეებზე, შესაბამისად, მეთოდიკის დანერგვას და ფართოდ გავრცელებას ხელს

უშლიდა მოსახლეობის უნდობლობა და ცრურწმენა, რომ დიდი ნაყოფის გამო ფურები დაი-  
ღუპებიან მოგების დროს. თუმცა დმანისის მუნიციპალიტეტის ფურების ზომა, ცოცხალი მასა (350  
კგ-ის ზევით), ნორმალური შეხორცება და ექსტერიერი იძლევა ხელოვნური განაყოფიერების  
პროგრამის წარმატებით დანერგვის და გავრცელების შესაძლებლობას.

2. პროგრამები (ჰუმანიტარული აქცია ან 50% დაფინანსებით), როგორც წესი, გრძელდებოდა  
1-2 წელი, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად საჭიროა ფართომასშტაბიანი განაყო-  
ფიერება მინიმუმ 8 წლის განმავლობაში (მესამე თაობის ჰიბრიდის მიღებამდე).
3. სოფლებში და მთიან საძოვრებზე, როგორც წესი, ერთდროულად ერთ ჯოგში (ნახირში) არიან  
დაუკოდავი ბულები, მოზარდი დეკეულები, მოზვრები, ხბორები და ფურები, ამ პირობებში კი,  
ხელოვნური განაყოფიერება მეტად რთულდება;
4. სპეციალისტების მცირე რაოდენობა;
5. ფინანსური ხარჯები, რომლებსაც ფერმერები ხშირად ერიდებიან;
6. არ არსებობს პირუტყვის ნუმერაციის/იდენტიფიკაციის სისტემა. 2012 წელს იყო მისი ამუშავების  
მცდელობა, მაგრამ დღეისათვის რეგულარულად არ ტარდება;
7. მუნიციპალიტეტში არ არსებობს თანამედროვე ვეტლაბორატორიები;
8. არ არსებობს პირუტყვის დაზღვევა;
9. მოსახლეობამ არ იცის ახალშობილი ხბოს სწორი მოვლა-შენახვის წესები;
10. პროფილაქტიკური ვეტლონისძიებები არარეგულარულად და არასაკმარისად ტარდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში არის იმის პირობები, რომ ფართოდ  
დაინერგოს და გავრცელდეს ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი.

## დაავადებები

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, გავრცელე-  
ბულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბევრი დაავადება: ინფექციური, ინვაზიური, არაგადამდები  
და სხვ. ინფექციური დაავადებებიდან ხშირია: თურქული, პასტერელოზი, პიროპლაზმოზი (ცხე-  
ლება), და რა თქმა უნდა, როგორც საქართველოს უმეტეს რეგიონში, ზოგჯერ ვლინდება ჯილე-  
ხის სპორადიული შემთხვევები. თურქულით და ჯილეხით (ციმბირული წყლული) დაავადების  
წინააღმდეგ დმანისში, როგორც მოსაზღვრე რეგიონში, სურსათის ეროვნული სააგენტო ბოლო 2  
წელია სისტემატურად ატარებს პირუტყვის პროფილაქტიკურ ვაქცინაციას: თურქულზე წელიწადში  
ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ხოლო ციმბირის წყლულზე ერთხელ – გაზაფხულზე ან  
შემოდგომაზე. პასტერელოზით და პიროპლაზმოზით აცრა თავად ფერმერებზე არის დაკისრებული.  
უსახსრობისა და არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო ასეთ აცრებს მხოლოდ მაშინ მიმართავენ,  
როცა სოფელში დაავადება ჩნდება ან პირუტყვი ეცემა. შესაბამისად, ასეთი აცრების ჩატარება ხში-  
რად დაგვიანებულია.

ამ დაავადებათა უმეტესობა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასაც, რადგან ადვილად გადა-  
მდებია დაავადებული ცხოველების მოვლისას და მათგან მიღებული პროდუქტების მოხმარებისას.  
ამასთან, მკვეთრად ეცემა დაავადებული პირუტყვის პროდუქტიულობა და მათი რძის ან ხორცის  
გამოყენება საერთოდ აკრძალულია.

ხშირ შემთხვევაში ფერმერებს წარმოდგენა არა აქვთ, როგორ უნდა ჩატარდეს პროფილაქტიკური  
ლონისძიებები. მათ არ იციან, რომ შინაგანი და გარეგანი პარაზიტებისაგან დროულად და სწორად  
გათავისუფლებული საქონლის პროდუქტიულობა 20-30% იზრდება და იცავს მათ პიროპლაზმოზით

(ცხელება) დაავადებისაგან. ფერმერებმა, ასევე, არ იციან, რომ აცრის შემდეგ აუცილებელია დაყოვნება (მოცდა) – გარკვეული დროით მესაქონლეობის პროდუქციის გამოყენების შეზღუდვა, ფერმერებისთვის, ასევე უცნობია აცრების ჩატარების ელემენტარული წესები და მათი ჯერადობა, როგორ უნდა გამოვლინდეს დაავადება ადრეულ სტადიაზე და რა ხერხებს უნდა მიმართონ, რომ გამოჯანმრთელებული პირუტყვის პროდუქტიულობა სწრაფად აღდგეს.

თუკი ფერმერებს ექნებათ საკმარისი განათლება ძირითადი პრევენციული ზომების შესახებ, ეს უზრუნველყოფს მესაქონლეობის რენტაბელობას და მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებას.

## **ვეტერინარია/კონსულტაციები**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზებაზე. გარდა ამისა, დებულების თანახმად, სამსახურს ევალება კერძო ვეტერინარული საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა. სამსახური ქალაქ დმანისში მდებარეობს და მის შტატში მხოლოდ ერთი ვეტერინარია. ამის გამო სოფლის მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდება ხელი მათ სერვისებზე და, ძირითადად, კერძო ვეტერინარების მომსახურებით სარგებლობს. სააგენტოს თანამშრომლები ცდილობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კერძო ვეტერინარებთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ და გაცვალონ ინფორმაცია, რათა დროულად გამოავლინონ დაავადებები და დაგეგმონ ღონისძიებები მათი გავრცელების წინააღმდეგ. თუკი ფერმერმა საკუთარი ინიციატივით აცრა პირუტყვი, ამის შესახებ ვეტერინარები ატყობინებენ სააგენტოს. ინფორმაციის გაცვლა აცრებზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აცრების დაგეგმვისას, რამდენადაც აცრების შემდგომ მინიმუმ 14 დღის განმავლობაში სხვა ვაქცინაციის ჩატარება აკრძალულია.

კერძო ვეტერინარული სამსახური თავისი ლაბორატორიებით (დებულების თანახმად) პრაქტიკულად არშექმნილა. ადრე არსებული ვეტპუნქტების და სამკურნალოების პრივატიზაციის და დაშლის შედეგად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფაქტობრივად განადგურდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათამდე ვეტექიმი, მათგან აქტიურად ოთხი მუშაობს. ვეტექიმები, ძირითადად, არიან 40-60 წლის მამაკაცები, რომლებიც დამოუკიდებლად, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ ემსახურებიან მოსახლეობას. ფასები არ არის ფიქსირებული და დამოკიდებულია ფერმერთა შესაძლებლობებსა და დაავადების სირთულეზე, ზოგჯერ მკურნალობა ტარდება ე. წ. კრედიტში. ვეტექიმებს ტელეფონით იძახებენ ან პირდაპირ სახლში აკითხავენ. მათ არ გააჩნიათ არავითარი სერიოზული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და თანამედროვე აღჭურვილობა. ხშირად პირუტყვს მოძველებული მეთოდებით და ნაკლებად ეფექტიანი პრეპარატებით მკურნალობენ (ანუ გამოძახების მომენტში, ვეტექიმის ხელთ არსებული ვეტპრეპარატებით). დმანისის მუნიციპალიტეტში, ჩვეულებრივ, ერთი ვეტექიმი ემსახურება რამდენიმე სოფელს და საკმაოდ ძნელად ხელმისაწვდომია ფერმერთათვის, განსაკუთრებით ბოლო წლებში, პირუტყვის გაზრდილი სულადობის ფონზე. დმანისის მუნიციპალიტეტი ვეტერინარების უკმარისობას განიცდის. ამასთან, კერძო ვეტექიმი ხშირად ფერმერთა განათლების ერთადერთი წყარო და იმედია დაავადებული საქონლის გადასარჩენად. როგორც წესი, (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ჩატარებული მკურნალობის ან პროფილაქტიკის შემდეგ ფერმერებმა არ იციან, თუ რა პრეპარატით უმკურნალოს პირუტყვს ან რა დაავადების საწინააღმდეგოდ გაკეთდა ვაქცინაცია. ვეტექიმებთან ურთიერთობა, ტრადიციებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მამაკაცებს უწევთ.

თუკი დმანისის ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ხარისხიანი ვეტერინარული კონსულტაციები და პრაქტიკული მეცადინეობები, საქონლის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და გაიზრდება პროდუქტიულობა. მაგალითად, ზოგიერთი დაავადების დროული დიაგნოსტიკა პროდუქტიულობის დანაკარგებს 20-50%-ით ამცირებს (ტიმპანია, ინტოქსიკაციები, დისპეპსია, მასტიტები და სხვ.), ხოლო დროულად და თანამედროვე პრეპარატებით ჩატარებული დეჰემინტიზაციითა და დეზინფექციით პროდუქტიულობის დანაკარგები მინიმუმ 30%-ით მცირდება.

### **ვეტერინარული აფთიაქები**

დმანისის მუნიციპალიტეტში სულ 3 ვეტერინარული აფთიაქია – დმანისში, კარაბულახში და ვარდისუბანში, აქედან პრეპარატების შედარებით ფართო არჩევანია დმანისის (ბაზრის ტერიტორიაზე) ვეტაფთიაქში. პრეპარატები აფთიაქის თანამშრომლებს თბილისიდან და მარნეულიდან ჩამოაქვთ. ვეტაფთიაქებში კერძო ვეტერინარებს და ფერმერებს შეუძლიათ შეიძინონ სხვადასხვა ვეტპრეპარატები (ვაქცინები, ანტიბიოტიკები, შინაგანი და გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატები, ვიტამინები, მასტიტებისა და სხვა დაავადებების სამკურნალო პრეპარატები, პეპსინი, სადებინფექციო საშუალებები და სხვ). მაგრამ, როგორც წესი, არჩევანი საკმაოდ მწირია. ყველა ამ პრეპარატის ერთი ან მაქსიმუმ ორი სახეობაა გაყიდვაში. ზოგიერთი პრეპარატის გამოყენება, არსებული ეტიკეტის მიუხედავად, დაუშვებელია ცხოველებისთვის. ასეთია, მაგალითად, „კარატე“, რომელსაც ხშირად იყენებენ საქონლის პარაზიტებისგან გასაბანად. პრეპარატი ძლიერი ინსექტიციდია და შეიქმნა კარტოფილში კოლორადოს ხოჭოს მოსასპობად, მაგრამ ეტიკეტზე აწერია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია საქონლის გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგოდ. პარაზიტებს ეს პრეპარატი სპობს, მაგრამ ამავე დროს ტოქსინები აღწევენ რძეში, რომლის გამოყენება 2-3 კვირის განმავლობაში აკრძალულია, ამასთან, ტოქსინები გროვდება ორგანიზმში და ა. შ.

ვეტაფთიაქებში ძირითადად მამაკაცები მუშაობენ. ისინი ვეტექიმები არიან და ხშირად ფერმერებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თავად უნიშნავენ მკურნალობას პირუტყვის და არჩევენ პრეპარატებს. ვეტაფთიაქებში ფერმერები იღებენ ინფორმაციას არსებული წამლების და ვაქცინების, მათი გამოყენების წესების და ღირებულების შესახებ. მაგრამ აუცილებელია ფერმერმა იცოდეს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება პრეპარატის შექმნისას, ანუ უნდა იცოდეს ვეტპრეპარატების შერჩევის ელემენტალური წესები, რაც განაპირობებს პირუტყვის ჯანმრთელობის ხარისხიან პროფილაქტიკას და მკურნალობას.

### **დაავადებების დიაგნოსტიკა**

დმანისში არსებული სახელმწიფო ვეტერინარული ლაბორატორიის დაშლის შემდეგ ყველაზე ახლოს მდებარე ლაბორატორია ქალაქ მარნეულშია განლაგებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხვადასხვა საშიში დაავადების მასობრივი გამოკვლევა ყოველთვის რთული იყო შემდეგი მიზეზების გამო: მოსახლეობის გაუნათლებლობა ბრუცელოზის და ტუბერკულოზის გავრცელების გზების და საშიშროების საკითხებში; მუნიციპალიტეტში ლაბორატორიის უქონლობა; ხშირად სისხლის ასაღებად საჭირო სპეციალისტის არარსებობა და დამატებითი ფინანსური ხარჯებისგან თავის არიდება. ამას ერთვის ისიც, რომ სახელმწიფო პროგრამით ბრუცელოზსა და ტუბერკულოზზე საყოველთაო გამოკვლევის ჩატარება აღარ ფინანსდება. ამიტომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავს არიდებს ამგვარ გამოკვლევებს.

როგორც წესი, ბრუცელოზით დაავადებაზე გამოკვლევას პერიოდულად ატარებენ მხოლოდ ის ოჯახები, რომლებიც ინფორმირებულები არიან და ესმით, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ეს

დაავადება მათი ოჯახების წევრებისთვის. თუმცა მათ, ხშირად, არ იციან, რომ გამოკვლევა არა მარტო ფურებს, არამედ სოფლად არსებულ ბუღა-მწარმოებლებს და დაუკოდავ მოზვრებსაც უნდა ჩაუტარდეს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ რეგიონში არ არსებობს სანიტარიული სასაკლავო და დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ფერმერები ხშირად დაავადებულ პირუტყვს ცოცხალი პირუტყვის ბაზარზე ყიდვიან ქ. მარნეულში, რითაც დაავადების გავრცელების რისკი კიდევ უფრო იზრდება.

თუკი საქონელი დაეცა და ექიმს გაუჩნდა ეჭვი საშიშ ინფექციურ დაავადებაზე (ჭილეხი, ცოფი, ინტოქსიკაცია), ის ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სურსათის უვნებლობის სამსახურს. ამ შემთხვევაში სამსახური თავად აგზავნის პათოლოგიურ მასალას ლაბორატორიაში და ხარჯებსაც თავად ანაზღაურებს.

ყველა სხვა შემთხვევაში ვეტექიმი ვიზუალური დაკვირვებით თავად სვამს დიაგნოზს. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ მუნიციპალიტეტში ლაბორატორიის დაშლის შემდეგ არ არსებობს ადგილი (ე. წ. ბეიკერის ორმო), ან სპეციალური სამარხი ლემის გასანადგურებლად. შესაბამისად, კარგ შემთხვევაში, დაცემული პირუტყვის ლემი იმარხება, უფრო ხშირად კი იყრება სოფლის ნაგავსაყრელზე ან სხვა ადგილზე, რაც ასევე ხელისშემწყობი პირობაა დაავადების გასავრცელებლად.

ამრიგად, რაკი მუნიციპალიტეტში არ არსებობს კვლევითი ლაბორატორია, სანიტარიული სასაკლავოები და ბეიკერის ორმოები, მოსახლეობა ცუდად ერკვევა ვეტერინარიაში, იზრდება საქონელში სხვადასხვა საშიში დაავადების გავრცელების რისკი და, როგორც შედეგი, საეჭვო ხდება მეცხოველეობის პროდუქტების კეთილსაიმედოობა, რომ არაფერი ვთქვათ მის რაოდენობასა და ხარისხზე.

## **პირუტყვის კვება**

დმანისის მუნიციპალიტეტის ფერმერთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, თუ რას ნიშნავს პირუტყვის სრულფასოვანი კვება. როგორი უნდა იყოს პირუტყვის სხვადასხვა ჯგუფების რაციონი (ახალშობილი ხბო, მოზარდი, მენველი ან მაკე ფური, ბუღა, ხარი), თუ როგორ უნდა შეფასდეს საკვების კვებითი ღირებულება, როგორი სახეობის საკვები უნდა მიიღოს საქონელმა წელიწადის სხვადასხვა დროს.

დმანისის მოსახლეობის პირუტყვი, საქართველოს სხვა რამდენიმე რეგიონთან შედარებით, ძირითადად, უზრუნველყოფილია უხეში საკვებით. იმ სოფლებში, სადაც სათიბების ნაკლებობაა, ფერმერები სხვა სოფლებში ყიდულობენ თივას.

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გამოირჩევა ბევრი საძოვრით. ბალახი აქ საუკეთესო ხარისხისაა, რადგან ალპურ და სუბალპურ ზონებშია განლაგებული. სახნავი მიწის ნაწილიც, რომელიც არ მუშავდება, ხშირად საძოვრებად გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ფერმერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ზოგიერთ სოფელს არ ყოფნის საძოვრები, რადგან მათ ის მეზობელი სოფლებიც იყენებენ, რომლებსაც ბევრი პირუტყვი ჰყავთ, ამის გამო ხშირია ერთმანეთთან დაპირისპირება.

გვიან შემოდგომიდან გაზაფხულამდე, 5-6 თვის განმავლობაში, პირუტყვი ბაგურ კვებაზე იმყოფება. ფერმერები პირუტყვის ძირითად საკვებად თივას იყენებენ. ასევე აჭმევენ არაკონდიციურ კართოფილს, ბოსტნეულის ნარჩენებს და სიმინდის ჩალას (არასაკმარისი რაოდენობით). ერთი



სული ძროხის გამოსაკვებად საჭიროა 1,8-2 ტონა თივა. თივას ფერმერები ძირითადად თვითონ ამზადებენ (მოსავლიანობა 3-3,5 ტ/ჰა). კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთების გათიბვა ფასიანია და 2012 წელს ერთი ჰექტარი დაახლოებით 150 ლარი ღირდა, 1 ცალი თივის „ტუკის“ (შეკვრის) დამზადება - 0,2-0.3 ლარი, ტრანსპორტირების ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოშორებულია სათიბი სოფელს. თიბვა ივლისის ბოლოდან იწყება. ბალახს სათიბი აგრეგატებით და ხელის ცელებით თიბავენ. მწყემსვა და ზამთრისთვის საკვების დამზადება დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, ამ საქმიანობებს უმეტესად მამაკაცები ასრულებენ.

ძროხა 2-3 ლიტრით მეტ რძეს იძლევა, როცა კომბინირებულ საკვებს ღებულობს, თუმცა, ეს საკვები სიძვირის გამო მცირე ფერმერებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. მას უფრო ხშირად საშუალო და დიდი ფერმერები იყენებენ. ერთი ტონა კომბინირებული საკვები, რომლის შემადგენლობაშიც მარცვლოვანი (ქერი, შვრია, ხორბალი, სიმინდი) და სხვა საკვები დანამატები (მზესუმზირის ან სოიოს კოპტონი, ვიტამინები, თევზის ან ხორცის მშრალი ფქვილი, მარილი და სხვ) შედის, დაახლოებით 800 ლარი ღირს. თუმცა, შემადგენლობა, როგორც წესი, კვებით მოთხოვნილებებზე არ არის მორგებული და მასში ის კომპონენტები ჭარბობს, რომლის მოსავალიც იმ წელს მაღალია. დმანისის სოფლებში ფერმერებს კომბინირებული საკვების შესახებ ძალზე ცოტა ინფორმაცია აქვთ. ამავე დროს, დმანისის ტერიტორიაზე ფერმერებს ფართოდ მოჰყავთ ისეთი მარცვლოვნები, როგორცაა ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, სიმინდი. ეს კულტურები პირუტყვისთვის კონცენტრირებული საკვებია, ასევე გამოიყენება ამ კულტურების ნამჭა. თუ მეურნეებს ეცოდინებათ კომბინირებული საკვების დამზადების რეცეპტურა, ისინი საკუთარი რესურსებით, უმნიშვნელო დამატებითი სახსრებით შეძლებენ სრულფასოვანი კომბინირებული საკვების დამზადებას. საკვების კომპონენტები შეიძლება იყოს: არაკონდიციური დაღერდილი ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, იონჯის თივის ფქვილი, მარილი, ხორბლის ქატო, ვიტამინები (კომპლექსები იყიდება ვეტაფთიაქებში და ფასი ხელმისაწვდომია), შესაძლებლობიდან გამომდინარე, ცოტა რაოდენობით მზესუმზირის კოპტონი (5%). ამდაგვარი კომბინირებული საკვების შეყვანა (3 კგ დღეში) მენველი ფურების რაციონში წვნიან საკვებთან ერთად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ზრდის წველადობას 50-60%-ით. რაც შეეხება წვნიან საკვებს, ადგილობრივი ფერმერები იყენებენ მათ მეურნეობებში წარმოებულ არაკონდიციურ კარტოფილს, კომბოსტოს, ყაბახს, გოგრას და სხვა ბოსტნეულის ნარჩენებს მცირე რაოდენობით, რაც საკმარისი არ არის. თუმცა ამ ზონაში სარწყავ ფართობებზე (შეიძლება საკარმიდამო 0,05-0,1ჰა ნაკვეთის გამოყენება) არის შესაძლებლობა საკვები ჭარხლის მოყვანის. ეს საკვები კულტურა მაღალ მოსავლიანია (70-100 ტ/ჰა) და მისი მოყვანა არ ღირს ძვირი. მენველი ფურების რაციონში საკვები ჭარხლის შეყვანა (დაახლ. 10 კგ-მდე დღეში), როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად ზრდის წველადობას და აუმჯობესებს ფურების ჯანმრთელობას და პროდუქციის ხარისხს.

ბოლო დროს, კულტურის მონაცვლეობის მიზნით, მოსახლეობა მიწის ნაკვეთებში იონჯას თესავს, რაც ასევე გამოიყენება პირუტყვის საკვებად. იონჯის თივა მდიდარია ცილებით და მისი კვებითი ღირებულება ბალახნარევის თივაზე უფრო მაღალია, იონჯის სარწყავ ფართობებს ერთ სეზონზე 3-4-ჯერ თიბავენ.

კარგი იქნება ზედაპირულად გაუმჯობესდეს არსებული სათიბ-საძოვრები (რაც მნიშვნელოვან ინვესტიციებთან არის დაკავშირებული) და, როგორც მინიმუმ, საძოვრებზე მოისპოს მხამიანი ბალახები. ეს ბალახები ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით (ამ დროს ბალახის საფარი დაბალია) თავს იჩენს საძოვრებზე და მშვიერი საქონელი მათ სხვა ბალახთან ერთად ჭამს. შედეგად,

პირუტყვს უვითარდება მძიმე ინტოქსიკაციები, ტიმპანიის (გაბერილობის) და წინაკუჭების ატონიის და დისპეპსიის ფონზე. პირუტყვის მოწამვლების თავიდან ასაცილებლად შხამიანი ბალახების მოსპობასთან ერთად (რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული) საქონელი დილით არ უნდა გაიშვას საძოვარზე მთლად მშვიერი (უნდა მიეცეს ცოტა რაოდენობით კონცენტრირებული ან სხვა საკვები), რათა ძოვებისას ცხოველმა შეძლოს ბალახების გარჩევა.

## **რძის დამზადება**

ადგილობრივი ჯიშის ძროხა წლის განმავლობაში საშუალოდ 240 დღე იწველება. ზაფხულის მანძილზე ძროხა დღე-ღამეში 10-12 ლიტრ რძეს იწველება. შემოდგომიდან რაოდენობა იკლებს, ზამთარში კი ნახევრდება და 4-5 ლიტრამდე ჩამოდის. საშუალოდ წლის განმავლობაში ერთი ძროხა 1500-1800, მაქსიმუმ 2000 ლიტრ რძეს იძლევა. რაც საქართველოს პირობებში მაღალ წველადობად ითვლება (შესადარებლად გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფურის წლიური წველადობა საშუალოდ 800-1200 ლიტრს შეადგენს), თუმცა მაინც ძალიან დაბალია, მაგალითად, ევროპაში საშუალო დღეღამური წველადობა 25-35 ლიტრ რძეს შეადგენს და ლაქტაცია მინიმუმ 300 დღე გრძელდება.

პირუტყვს ხელით წველიან. მცირე ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც 2-5 ძროხა ჰყავს, ამას საკუთარი ძალებით აკეთებენ. შედარებით დიდი ფერმერები მწველავად ქალებს ქირაობენ. ერთი ძროხის მოწველაში მწველავები თვეში 20 ლარს იღებენ. ქალები საშუალოდ დღეში 10-15 ძროხას წველიან.

მოსახლეობაში მოსაწველი მექანიკური საშუალებები ნაკლებად პოპულარულია მათი სიძვირის გამო. ამის მეორე მიზეზია ფერმერებში გავრცელებული მცდარი ინფორმაცია, რომ მექანიკური საშუალებები საქონლის ცურს აზიანებს, რაც სხვადასხვა დაავადებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მოწველის დროს მწველავები, როგორც წესი, მკაცრად არ იცავენ პირად და რძის მიღების ჰიგიენას. საერთოდ, მერძეული მეძროხეობის ბოლოჰიგიენური ნორმები უხეშად დარღვეულია კერძო მსხვილ და მცირე მეურნეობებში (შენობა-ნაგებობები, ვენტილაცია, სადგომები, მათი პარამეტრები, სანუნუხე ორმო, ნაკვლსაცავი, საძროხის მიკროკლიმატის ჰიგიენური ნორმები, საკვებურები, პერსონალის და რძის წარმოების ჰიგიენა). ფერმერებს ხშირად არ გააჩიათ სათანადო ინფორმაცია ბოლოჰიგიენური წესების დაცვის შესახებ. და თუ მთლიანად წესების დაცვა ხშირად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ელემენტარული ნორმების დაცვა და სადგომში, სულ ცოტა, ფანჯრების (ვენტილაცია) მოწყობა საკმაოდ აუმჯობესებს პირუტყვის ჯანმრთელობას და მიღებული პროდუქციის ხარისხს.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა-შენახვის და პირველადი პროდუქციის მიღების ბოლოჰიგიენური ნორმების დაცვა განაპირობებს ადამიანისთვის უსაფრთხო მეცხოველეობის პროდუქტების მიღებასა და მათი შემდგომი გადამუშავების კეთილსაიმედოობას.

## **ყველის დამზადება**

მოწველის შემდეგ ქალები ყველს ამზადებენ. ყველის ყველაზე გავრცელებული სახეობები, რომელსაც დმანისში აკეთებენ, ე. წ. დმანისის ქარხნული და გლეხური ყველი, „ცხვრის ყველი“ და სულგუნია.

ვინაიდან რძე მალფუჭებადი პროდუქტია, ყველი მოწველიდან მოკლე პერიოდში მზადდება. 1 კგ ქარხნული ყველის მისაღებად 6-8 ლიტრი რძეა საჭირო. მცირე ფერმერები ამას კუსტარულად აკეთებენ. რძე ცხელდება 32-380-მდე. შემდეგ შესადეებლად ემატება ფერმენტი პეპსინი (ან მაჭიკიდან ოჯახებში დამზადებული ფერმენტი), რომელიც რძეს ჭრის. შემდეგ საჭიროა რძის ტემპერატურა შენარჩუნდეს რძის შედედებამდე, ანუ ცილოვანი მასის გამოყოფამდე, დაახლოებით 20-30 წუთი. ცილოვან მასას წურავენ და ანაწილებენ ფორმებში.

სულგუნი მზადდება თხელ ნაჭრებად დაჭრილი ჭყინტი ყველის მოხარშვით. ნაჭრებს ათავსებენ ცხელ წყალში და ურევენ, სანამ წელვად მასას არ მიიღებენ. შემდეგ იღებენ წყლიდან და მასას ანაწილებენ ფორმებში.

ყველის საგემოვნო და სხვა ორგანოლექტიკური თვისებები დამოკიდებულია რძის ხარისხსა და ცხიმოვანობაზე, ყველის (სულგუნის) დამზადების ტექნოლოგიური პროცესის და ჰიგიენის ნორმების დაცვაზე. ხშირად ოჯახებში იყენებენ ყველის დამზადების ტრადიციულ რეცეპტურას, რომელიც გადადის თაობიდან თაობამდე და ითვლება ოჯახების საიდუმლოდ.

### **ყველის შენახვა**

ქარხნულ ყველს ფერმერები მარილიანი წყლით სავსე ხის ან თიხის კასრებში ინახავენ. იმისთვის, რომ ყველი არ გაფუჭდეს, საჭიროა ის ბოლომდე იყოს დაფარული მარილიანი წყლით. მარილის შემცველობა ხსნარში 17-19% უნდა იყოს. იმის შესამოწმებლად, საკმარისია თუ არა მარილის შემცველობა, ფერმერები დებენ მოხარშულ კვერცხს ხსნარში. თუ კვერცხი ამოტივტივდება, მარილის საკმარისი რაოდენობაა. ასეთ პირობებში ყველი დაახლოებით ერთი წელი ძლებს. ხსნარს უმეტესად ქალები აკეთებენ და ყველის შენახვის პირობებსაც ისინი იცავენ.

ქარხნულ ყველს ასევე ინახავენ ქილებში. წვრილად დაჭრილი ნაჭრები თავსდება ქილებში და ჰერმეტიკულად იხურება.

სულგუნი უფრო მცირე ხნით, დაახლოებით ერთი თვე ინახება. უფრო მეტ ხანს – 2-3 თვე ინახება შებოლილი სულგუნი. ამიტომ მისი რეალიზაცია გაკეთებიდან მოკლე პერიოდშივე ხდება.

ფერმერები არ არიან ინფორმირებულები ფასიან საწყობებზე ან მაცივრებზე, სადაც შეიძლება ყველის შენახვა.

### **რძის და ყველის გაყიდვა**

მოსახლეობა ყიდის როგორც რძეს, ასევე ყველს. ხშირად სოფლებში რძეს ერთი ადამიანი აგროვებს ფერმერებისგან და აბარებს რძის სამ შემგროვებელ პუნქტში (სოფლებში: გომარეთი, კარაბულახი და ქვემო ოროზმანი). ასევე შესაძლებელია რძის ჩაბარება ყველის დამამზადებელ მცირე საწარმოებში. თუმცა, ისინი შედარებით ნაკლებ ფასს იხდიან. ამიტომ საწარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აბარებენ, თუ ჩამბარებელი პუნქტები აღარ იღებენ, ან რძეში მჟავიანობაა მომატებული. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ის ყველის დასამზადებლად მაინც გამოდგება, მაგრამ შემგროვებელი პუნქტები არ იბარებენ, ვინაიდან სხვა რძის პროდუქტების დასამზადებლად ასეთი რძე უვარგისია. ამის გარდა, დმანისში მოძრაობენ ავტომანქანები, რომლებიც ბოლნისში არსებულ „სანტე“-ს რძის შემკრებ პუნქტში რძეს აბარებენ.

ფერმერები ყველს უმეტესად ადგილზე ყიდიან – დმანისის ბაზარზე, ან ჩამოსულ დამსვენებლებზე. ზოგჯერ ყველს თბილისიდან ჩამოსული მოვაჭრეებიც ყიდულობენ, რომლებიც ფერმერებს თვითონ აკითხავენ. ფერმერულ მეურნეობებში როგორც რძეს, ასევე ყველს ძირითადად ქალები ყიდიან, თუმცა რძის შემგროვებლები მამაკაცები არიან.

### **ყველის სანარმოები**

მუნიციპალიტეტში იყო საშუალო ზომის სანარმო, რომელიც დღეისთვის გაჩერებულია და ფუნქციონირებს მხოლოდ მცირე შინაური ყველის სანარმოები, რომლებსაც ფერმერები რძეს აბარებენ. სანარმოში მიტანისას, ლაქტოსკანის არსებობის შემთხვევაში, რძე მონმდება მჟავიანობაზე (PH), ცხიმის, მშრალი ნივთიერების და დამატებული წყლის რაოდენობაზე.

სანარმოების მოცულობა, ძირითადად, ერთ ტონამდეა. ასეთ სანარმოებში 3-4 ადამიანი მუშაობს. ჩვეულებრივ, ოჯახები თვითონ ასრულებენ სამუშაოებს, თუმცა ზოგჯერ დამხმარე მუშაკებსაც ქირაობენ.

ძირითადი ყველის საამქრო ბოლნისში მდებარეობს და ამ საამქროსთვის რძეს მანქანებით აგროვებენ დმანისის სოფლებში.

### **ფინანსური რესურსები**


დმანისში „ფინკას“, „კრედოს“, „კონსტანტას“ და „ლიბერთი ბანკის“ ფილიალებია, რომლებიც გასცემენ სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კრედიტებს.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო მოთხოვნა კრედიტებზე არცთუ ისე მაღალია. ფერმერების ნაწილი უკმაყოფილოა კრედიტის უზრუნველყოფის პირობებითაც (მინის რაოდენობა, პირუტყვების სულადობა). მათ მიაჩნიათ, რომ მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილების საშუალება მხოლოდ დიდ ფერმებს აქვთ.

### **რძის იმპორტის ტენდენცია საქართველოში**

2009 წელს საქართველოში იმპორტირებულმა რძის მოცულობამ ფულად მაჩვენებლებში 1014.70 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, 11%-ით გაიზარდა და 1128.75 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2011 წელს 27%-ით გაიზარდა და 1438.49 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. 2012-ში კი ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად (42%-ით) გაიზარდა და 2043.56 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 2: საქართველოში იმპორტირებული რძის მოცულობა ფულად მაჩვენებლებში 2009-2012 წლებში (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო

მეოთხე ნაწილი:

## საკანონმდებლო ანალიზი რძის და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჰაჭვისთვის

დმანისის ღირებულებათა ჰაჭვის ანალიზმა გამოავლინა, რომ რძის და რძის პროდუქტების წარმოება მუნიციპალიტეტის მთავარი მიმართულებაა. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ კანონმდებლობას, რომელიც რძის წარმოებასთანა დაკავშირებული.

რძის წარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;
- საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, 2012 წლის 7 მარტი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №176 სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 3 ივლისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №430 ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 31 დეკემბერი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N173 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, 2010 წლის 25 ივნისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №282 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ, 2010 წლის 10 სექტემბერი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 144 სურსათის წარმოების სფეროში მიკვლევადობის საფრთხის ანალიზისა და საკონტროლო კრიტიკული წერტილების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ, 2006 წლის 7 აგვისტო.

### ზოგადი საკითხები

#### **რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება**

ჩვეულებრივი ბიზნესების გარდა, საქართველოს სასურსათო კანონმდებლობა ასევე გამოყოფს „ოჯახური წარმოების სუბიექტს“ და „მცირე ბიზნესს“. ოჯახური წარმოების სუბიექტია ფიზიკური პირი, „რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით“. ამ კატეგორიაში მოიაზრება ტიპური გლეხი, რომელიც სახლში აწარმოებს რძეს/ყველს და დროდადრო ყიდის რძის ნაწარმს. ის ბიზნესები კი, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს, ითვლებიან „მცირე ბიზნესად“. (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2)

ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიზეზის გამო. პირველი, საოჯახო, მცირე და ჩვეულებრივი ბიზნესებისთვის განსხვავებული ჯარიმების ოდენობებია დაწესებული.

მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო და მცირე ბიზნესებს არ ეხებათ საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ. ეს წესი ასევე არ ეხებათ იმ ბიზნესებს, რომლებიც მთაში აწარმოებენ რძეს/ყველს, ან ტრადიციულ მეთოდებს მიმართავენ ყველის საწარმოებლად. მაგალითად, ეს სპეციალური წესი არ შეეხება სამცხე-ჯავახეთში ძველი მესხური მეთოდით „ტენილი“ ყველის დამზადებას.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კანონმდებლობა ასევე განასხვავებს ორი სახის ხარვეზს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში. პირველი ტიპის ხარვეზი არის „არაკრიტიკული შეუსაბამობა,“ როცა ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობას პირდაპირი საფრთხე არ ექმნება და ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ბიზნესის წარმოების პროცესის შეჩერების გარეშე. მეორე ტიპის ხარვეზია „კრიტიკული შეუსაბამობა.“ ასეთ შემთხვევაში ხდება ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისთვის სახიფათო სურსათის/ცხოველის საკვების იდენტიფიცირება და ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელია საწარმოო პროცესის შეჩერების გარეშე (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2).

### **ბიზნესის დანყება**

ბიზნეს ოპერატორი შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესი (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 13). თუ ბიზნესი აწარმოებს სურსათს/ცხოველურ საკვებს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, მაშინ ის დაჯარიმდება 300 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 64). ზოგადად, ბიზნესის დარეგისტრირების წესი განვირეილია საქართველოს კანონში მენარმეთა შესახებ, მუხლები 4-8.

### **სურსათის უსაფრთხოება**

ბიზნეს ოპერატორს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარი პროდუქციის უსაფრთხოება იმ კრიტერიუმების და პრინციპების შესაბამისად, რაც განვირეილია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში. თუ ბიზნეს ოპერატორს აქვს ეჭვის საფუძველი პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით, მაშინ მან უნდა მიმართოს ყველა შესაბამის ზომას – აღკვეთოს პროდუქტის განთავსება ბაზარზე და გამოითხოვოს უკვე განთავსებული პროდუქცია. ასევე, ბიზნეს ოპერატორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სურსათის სააგენტოს პრობლემის და მიღებული ზომების შესახებ (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 14). თუ ბიზნეს-ოპერატორი განაგრძობს თავისი პროდუქციის გაყიდვას და დადგინდა, რომ მას ჰქონდა ეჭვი პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაშინ ის დაჯარიმდება 1000 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 65).

რძის/რძის ნაწარმის წარმოებისას, ბიზნეს ოპერატორი (გარდა ოჯახური წარმოების სუბიექტისა) ასევე ვალდებულია მოიკვლიოს რძის/რძის ნაწარმის დამზადებისთვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებლები. ბიზნეს ოპერატორს უნდა ჰქონდეს იმ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, ვინც მას აწვდიან რძეს, პეპსინს, მარილს და სხვა საჭირო ნივთიერებებს (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 17). ეს კეთდება საიმისოდ, რომ შემუშავდეს რისკების მართვის ეფექტიანი მექანიზმები, რათა სწრაფად და მარტივად იყოს შესაძლებელი პრობლემის გამოვლენა და შესაბამისი ზომების მიღება.

## **წარმოება**

ამჟამინდელი კანონმდებლობით, ყველის წარმოებას არ სჭირდება ლიცენზიის ან ნებართვის (მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების) აღება. გასათვალისწინებელია, რომ ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დაცვა (საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ. მუხლი 5). ასევე, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელია ნებართვა ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის იმპორტისა და ტრანზიტისთვის. ამგვარად, თუ ბიზნეს-ოპერატორი გადაწყვეტს საქონლის იმპორტს, რათა მოაშენოს საკუთარი ფერმა და უზრუნველყოს რძის სტაბილური მარაგი საკუთარი ყველის ქარხნისთვის, მაშინ მას დასჭირდება შესაბამისი ნებართვა. ნებართვის მიღების წესები განერილია საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში და საქართველოს კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.

ბიზნეს ოპერატორებს, რომლებიც ეწევიან რძის გადამამუშავებას, კანონმდებლობა ავალდებულებს ჰიგიენის და სანიტარიის ძირითადი წესების დაცვას, მაგალითად – ალტერვილობის სუფთად შენახვა და რძის შესანახი ადგილის გამოყოფა ცხოველთა სადგომისგან. ჰიგიენის და სანიტარიის დეტალური მოთხოვნების ნახვა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის №90 დადგენილებაში ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, 43-ე მუხლი. გარდა ამისა, ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ნორმებს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ). გასათვალისწინებელია, რომ სამეურნეო ობიექტის პრივატიზებისას ახალი მეპატრონე სრულად იღებს პასუხისმგებლობას იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ყოფილ მეპატრონეს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. მუხლი 21).

კანონმდებლობის მიხედვით, თუ რძე გადამამუშავდება მოწველიდან 2 საათის განმავლობაში, მაშინ მისი გაგრილება არ არის აუცილებელი. თუ გადამამუშავება 2 საათის შემდეგ იგეგმება, მაშინ ნედლი რძის შენახვის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 8 გრადუსს. ტრანსპორტირების შემთხვევაში (მაგალითად, ყველის ქარხანა ყიდულობს რძეს ადგილობრივი ფერმერებისგან), დანიშნულების ადგილას მიწოდებისას რძის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 10 გრადუსს. ამის შემდეგ, თუ რძის გადამამუშავება არ იგეგმება შემდეგი 4 საათის განმავლობაში, მაშინ ის უნდა გაგრილდეს 6%-მდე და შეინარჩუნოს ეს ტემპერატურა მანამ, ვიდრე რძე არ გადამამუშავდება (საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ).

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ სურსათი/ცხოველის საკვები წარმოადგენს დაავადების აღმოცენების, გავრცელების ან/და გარემოს დაბინძურების წყაროს, მისი განადგურების მეთოდებს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

## **გაყიდვები**

გაყიდვისას სურსათის/ცხოველის საკვების პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ეტიკეტი. (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 18).

რძის/რძის ნაწარმის ექსპორტზე გატანის შემთხვევაში, მწარმომ უნდა შეავსოს შესაბამისი ფორმა. რომელიც მოცემულია საქართველოს მთავრობის #430 დადგენილებაში ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.



მეხუთე ნაწილი:

## ინიციატივები დმანისის მუნიციპალიტეტში

დმანისის მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გამოვლინდა ინიციატივები, რომელთა განხორციელება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი. ინიციატივები შეირჩა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ინიციატივის განხორციელება ხელს შეუწყობს ღარიბი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- იგი მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- იგი შეესაბამება განვითარების ხედვას და პრიორიტეტებს.

დმანისის მუნიციპალიტეტში სულ გამოვლინდა სამი ინიციატივა, რომლებიც დეტალურად ქვემოთაა განხილული.

### ინიციატივა #1: საქონლის ჯიშების გაუმჯობესება

მუნიციპალიტეტში რძის პროდუქტიულობის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა არსებული საქონლის ჯიშების გაუმჯობესება, რაზეც წლების განმავლობაში არავინ მუშაობდა და, შედეგად, მთელ საქართველოში ძირითადად გავრცელებულია დაბალპროდუქტიული საქონელი, როგორც წველაძობის, ისე წონის მიხედვით. ჯიშების გაუმჯობესება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, რომლებიც ქვემოთაა ჩამოწერილი:

- **საქონლის ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვა და მის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.** დღესდღეობით, ხელოვნური განაყოფიერების შესახებ მოსახლეობა ძალიან ცუდად არის ინფორმირებული. ხელოვნურ განაყოფიერებას, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლია გააუმჯობესოს არსებული საქონლის ჯიშები, თუმცა მოსახლეობა დიდი სიფრთხილით ეკიდება რეგიონში ნაკლებად აპრობირებულ და მათთვის ინოვაციურ იდეას. ამიტომ, მნიშვნელოვანია ფართო საინფორმაციო კამპანიის წარმოება და სადემონსტრაციო ცდები, რომ მოსახლეობას გაუჩინდეს ნდობა ხელოვნური განაყოფიერების მიმართ. კიდევ ერთი უპირატესობა, რაც ხელოვნურ განაყოფიერებას გააჩნია, არის რძის წარმოების ციკლის უკეთესი დაგეგმარების შესაძლებლობა. ფერმერებს მიეცემათ საშუალება ზამთარშიც ჰქონდეთ რძე, როცა მისი ფასი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ზაფხულში.
- **ბუღალტრული მონაცემებისა და ჯიშის ფურების შემოყვანა.** ამ კომპონენტის ამოქმედებისთვის, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ალტერნატივების შესწავლა – რომელი ჯიშების შემოყვანა იქნება უფრო ხელსაყრელი დმანისის მუნიციპალიტეტისთვის, რა რაოდენობით, და საიდან უნდა მოხდეს ცხოველების შემოყვანა. ასევე, უნდა მომზადდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა ადგილზე, რომ საქონლის მოვლის შესაფერისი პირობები შეიქმნას.
- **ფერმერთა ინფორმირებულობის ამაღლების ხელშეწყობა ბუღალტრული მონაცემებისა და ჯიშის ფურების მოვლასთან დაკავშირებით.** ინიციატივის ფარგლებში, სპეციალურად შერ-

ჩეული ზოოვეტერინარები პერიოდულად უნდა შეხვდნენ ფერმერთა ჯგუფებს და გააცნონ მათ (კონსულტირება) ბულამნარმოებლებისა და ჯიშის ფურების კვების, შეჯვარებისა და სხვა ზოო-ტექნიკური პირობების დაცვის წესები.

## **ინიციატივა #2: საქონლის დაავადებების კონტროლი და მართვა**

საქართველოს, პრაქტიკულად, ყველა რეგიონში ცხოველთა დაავადებების კონტროლი დიდი პრობლემაა. ყოველ წელს ვრცელდება ისეთი დაავადება, როგორცაა „თურქული“. ასეთი მძიმე სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობაა. შესაბამისად, ეს ინიციატივა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- **დაავადებების დიაგნოსტიკა.** აუცილებელია დაავადებების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება მოსახლეობაში. ფერმერებმა უნდა იცოდნენ მარტივი ნიშნები, რომლითაც შეიძლება გარკვეული დაავადებების აღმოჩენა. გარდა ამისა, აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის და ლაბორატორიის მოწყობაც, სადაც მოსახლეობას შეეძლება უტყუარად შეამოწმოს საკუთარი საქონლის ჯანმრთელობა. მსგავსი ლაბორატორიები ძალიან ცოტაა საქართველოში.
- **დაავადებების პრევენცია.** ინფორმაციის გავრცელების გარდა, ასევე საჭიროა დროული აცრები და დაავადებების სისტემური კონტროლი, რაც უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით.
- **დაავადებების მკურნალობა.** გამოვლენილ დაავადებებს სჭირდება დროული რეაგირება და ზომების მიღება. ხშირად, მოსახლეობას დიდი ხნის განმავლობაში ჰყავს დაავადებული პირუტყვი. ზოგიერთი ფერმერი კი დაავადების გამოვლენისთანავე ყიდის პირუტყვს ბაზარზე. შედეგად, არაინფორმირებულმა ფერმერებმა შეიძლება დაავადებული საქონელი შეიძინონ.

## **ინიციატივა #3: საქონლის კვების გაუმჯობესება**

საქონლის ჯიშების გაუმჯობესებასთან და დაავადებების კონტროლთან ერთად, აუცილებელია ყურადღების მიქცევა საკვების კომპონენტზე. სხვა მხრივ, რძის პროდუქტიულობა ვერ გაიზრდება.

- **კომბინირებულ საკვებსა და დანამატებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.** ხშირად, ზამთარში, ფერმერებს მხოლოდ თივაზე მიუწვდებათ ხელი. შესაბამისად, საქონელი იკლებს წონაშიც და წველადობაშიც. ამიტომ, აუცილებელია საკვებდანამატების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ე.წ. „კომბი“ (კომბინირებული საკვები) და „სილოზი.“ უნდა ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია, რომ მოსახლეობამ კარგად გაიგოს რამდენად გამართლებულია ხარჯების განწევა ასეთი საკვებისთვის.
- **საქონლის ახალი საკვები კულტურების გავრცელება.** საქართველოში თითქმის არ ვრცელდება საქონლისთვის სასარგებლო ახალი საკვები კულტურები. ამ მიმართულებით, საჭიროა კვლევითი საქმიანობა და დმანისის მუნიციპალიტეტისთვის შესაფერისი კულტურების იდენტიფიცირება და დანერგვა.
- **ფერმერების ინფორმირება საქონლის კვების და კომბინირებული საკვების დამზადების შესახებ.** აუცილებელია პირუტყვთა კვების ექსპერტებმა საინფორმაციო კამპანიის აწარმოონ მოსახლეობაში. შინაურ პირობებშიც შესაძლებელია იმაზე მაღალი ენერგეტიკული ღირებულების საკვების მომზადება, ვიდრე უბრალოდ თივაა.





წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) თვალსაზრისს.

